572/3
1950

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლით
სამშობლო გაახარეო!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 11 ნოემბერი 1950

იოსებ ნონეძვილი

საზეიმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემ წითლად ამოანათა,
თუ ეს დროშების ფერია?!
ნოემბრის დილა გათენდა,—
დღეს შვიდი ნოემბერია!
გახედეთ – ჩვენთან ზეიმზე
მზეს ყელი მოუღერია
და როგორც სალამურები
ჩვენი გულებიც მღერიან.
ამ დღეს გაბრწყინდა ცისკარი,
როგორც მომავლის ნუგეში,
ამ დღეს დაემხო სიბნელე,
გათენდა ხალხის გულებშიც.
პირველად ამ დღეს გაისმა
მშვიდობის სიტყვა მართალი,
ამ დღიდან ხალხთა გაზაფხულს
ვერ გაუმკლავდა ზამთარი.
ამ დღეს რადიომ ქვეყანას
ლენინის სიტყვა ახარა:
—მიწა მშრომელ გლეხს ეკუთვნის,
მუშებს—ფაბრიკა-ქარხანა!
მას შემდეგ, ჩემო კარგებო,
ოცდაცამეტი წელია.
მას შემდეგ ამ დღის დიდება
ხალხს გულზე დაუწერია.
მზემ წითლად ამოანათა
თუ ეს დროშების ფერია?!
ნოემბრის დილა გათენდა,—
დღეს შვიდი ნოემბერია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არკადი გაიდარი

ნახატები **შალვა ცხადაძისა**

მხურვალე ქვა

ზღაპარი

1

ცხოვრობდა ერთი მარტოხელა, უძლური ბერიკაცი. წნავდა კალათებს, აკერებდა თექის ჩექმებს, დარაჯობდა კოლმეურნეობის ბაღს, — იცავდა ბიჭებისაგან და ასე ირჩენდა თავს.

ის სოფელში კარგა ხნის წინად მოვიდა, შორიდან; ხალხი მაშინვე მიხვდა, რომ მას დიდი მწუხარება ჰქონდა გადატანილი; ბერიკაცი კოჭლობდა, ადრიანად იყო გაჭალარავებული, ლოყიდან ტუჩებზე ირიბად აჩნდა ნაჭრილობევი და ამიტომ ღიმილის დროსაც კი მისი სახე ნაღვლიანი და პირქუში ჩანდა.

2.

ერთხელ, ერთი ბიჭი ივაშკა კუდრიაშკინი გადაძვრა კოლმეურნეობის ბაღში, რომ ვაშლები მოეგროვებინა და ჩუმად გამომძღარიყო. მაგრამ შარვლით ღობის ლურსმანს გამოედო, კინკრიჟოს ეკლიან ბუჩქებში ჩავარდა, დაიკაწრა და აზლუქუნდა. ივაშკა იქვე შეიპყრო დარაჯმა.

რასაკვირველია მოხუცს შეეძლო ივაშკა ჭინჭრით გაეწკიპა, ან და უარესიც — სკოლაში მიეყვანა და იქ ეამბნა, საქმე როგორც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოხუცს შეებრალა ივაშკა. მას ხელები დაკაწრული ჰქონდა, ხოლო უკან ცხვრის კუდივით ეკიდა შარვლის ნაგლეჯი, დაბრაწულ ლოყებზე კი ცრემლები ჩამოსდიოდა.

მოხუცმა ივაშკა უხმოდ გაიყვანა ჭიშკრიდან და შინ ისე გაუშვა, რომ არც კისერში წაუკრავს და სიტყვაც არ დაუდევნებია.

3.

შერცხვენილი და გამწარებული ივაშკა მახლობელ ტყეში შეეხეტა, გზა დაებნა და ჭაობთან მოხვდა. ბოლოს დაიღალა, იქვე ხავსიდან ამოშვერილ ცისფერ ქვაზე ჩამოჯდა, მაგრამ იმავ წამს შეჰყვირა და წამოხტა. ივაშკას მოეჩვენა, რომ გარეულ ფუტკარს დააჯდა და გამოგლეჯილ შარვალში ფუტკარმა მწარედ უკბინა. მაგრამ ქვაზე არავითარი ფუტკარი არ ჩანდა. ეს ქვა ნალვერდალივით მხურვალე იყო და ბრტყელ ზედაპირზე თიხით გადალესილი ასოები აჩნდა.

— აშკარაა, რომ ეს ქვა ჯადოსნური ყოფილა! — სწრაფად მოიაზრა ივაშკამ, ფეხსაცმელი გაიძრო და ქუსლით საჩქაროდ ჩამოფშხვნა თიხა, რომ მალე გაეგო ქვისგან რა გამოჩენა ექნებოდა.

და აი, ზედ ასეთი წარწერა ამოიკითხა:

ᲕᲘᲜᲪᲐᲛ ᲥᲕᲐᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ ᲐᲘᲢᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲘᲫ ᲓᲐᲐᲛᲢᲕᲠᲔᲕᲡ, ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲒᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲒᲐᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲒᲐ

ქვემოთ ესვა ბეჭედი, მაგრამ უბრალო კი არა, არც მრგვალი, როგორც სოფლის საბჭოსი, და არც სამკუთხა, როგორც კოოპერატივის ტალონებზეა, არამედ უფრო ეშმაკური: ორი ჯვარი, სამი კუდი, ჩხირიანი ნახვრეტი და ოთხი მძიმეც ჰქონდა.

ივაშკა კუდრიაშკინი დაღონდა. იგი მხოლოდ რვა წლისა იყო — მეცხრეში და ცხოვრების თავიდან დაწყება, ესე იგი მეორე წელს კვლავ პირველ კლასში დარჩენა სრულებით არ სურდა.

აი, ამ ქვის საშუალებით რომ შეიძლებოდეს, სკოლაში მოცემული გაკვეთილების დაუსწავლელად, პირველი კლასიდან პირდაპირ მესამე კლასში გადახტომა — ეს სხვა საქმე იქნებოდა!

მაგრამ დიდიხანია ყველასათვის ცნობილია, რომ ასეთი ძალა არცერთ ჯადოსნურ ქვას არ გააჩნია...

4.

დაღონებულმა ივაშკამ ბაღს ჩაუარა და ისევ ის ბერიკაცი დაინახა, რომელიც ახველებდა და სულს მალ-მალე ითქვამდა; მას ვედროთი კირი მოჰქონდა, მხარზე კი ფუნჯიანი ჯოხი გაედო.

მაშინ ივაშკამ, რომელიც ბუნებით კეთილი გულისა იყო, გაიფიქრა; — იმ ბერიკაცს ადვილად შეეძლო ჭინჭრით დავესუსხე, მაგრამ შემიბრალა, მოდი, ახლა მე შევიბრალებ მას და სიჭაბუკეს დავუბრუნებ, რომ აღარ ახველებდეს, არ კოჭლობდეს და ასე მძიმედ არ სუნთქავდეს.

აი, ამ კარგი ფიქრებით მივიდა მოხუცთან კეთილშობილი ივაშკა, და პირდაპირ აუხსნა, როგორც იყო საქმე. მოხუცმა ივაშკას პირქუშად გადაუხადა მადლობა, მაგრამ სადარაჯოდან ჭაობისაკენ წასვლაზე უარი თქვა, რადგან ქვეყანაზე კიდევ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამ დროის განმავლობაში სულ ადვილად შეეძლოთ კოლმეურნეობის ბაღი გაეცალათ.

მოხუცმა უბრძანა ივაშკას, რომ მას ქვა ჭაობიდან მთაზე აეტანა. ხოლო თვითონ კი შემდეგ მცირე ხნით მივიდოდა და მარდად დაარტყამდა ქვას რაიმეს.

ივაშკა ძლიერ დააღონა ამ ამბავმა. მაგრამ მოხუცს უარი ვერ შეჰკადრა. მეორე დილას ივაშკამ თან წაიღო მაგარი ტომარა, ტილოს ხელთათმანებიც გაიყოლა,

ხელები რომ არ დასწვოდა, და ჭაობისაკენ გაემართა.

5.

ტალახში ამოთხუპნულმა ივაშკამ, როგორც იქნა, ამოათრია ჭაობიდან ქვა და მშრალ ადგილას წამოწოლილმა სული ძოითქვა:

„აი!“ — ფიქრობდა იგი. — „ახლა ამ ქვას მთაზე ავაგორებ, მივა ის მოხუცი, ქვას დაამტვრევს, გაახალგაზრდავდება და ცხოვრებას ახლად დაიწყებს.

ხალხი ამბობს, რომ მას ცოტა მწუხარება კი არ გაუვლია. მარტოხელაა. ნატანჯი, ნაჭრილობევი; ბედნიერი ცხოვრება უთუოდ არასოდეს განუცდია, სხვებმა კი უკვე ნახეს.“ აი, ივაშკა რა ახალგაზრდაა და იმანაც კი უკვე სამჯერ იგემა ბედნიერი ცხოვრება: ეს მაშინ იყო — გაკვეთილზე რომ აგვიანდებოდა და უცნობმა შოფერმა პრიალა, მსუბუქი მანქანით მიაქროლა კოლმეურნეობის საჯინიბოდან სკოლამდე. კიდევ — არხში დიდი თევზი რომ დაიჭირა ცარიელი ხელებით, და მესამედ — ძია მიტროფანემ ქალაქში რომ წაიყვანა საპირველმაისო ზეიმზე.

„დაე, მაშ უბედურმა მოხუცმაც ნახოს კარგი ცხოვრება“ — დიდსულოვნად დაასკვნა ივაშკამ. მერე წამოდგა და მოთმინებით აათრია ქვა მთაზე.

6.

და აი, მზის ჩასვლისას, დატანჯული და შეცივნული ივაშკა გაჭუჭყიანებულ და სველ ტანსაცმელს ცხელ ქვასთან რომ იშრობდა, მასთან ბერიკაცი მივიდა.

— ბაბუ, რატომ არ ამოიტანე ჩაქუჩი ან წერაქვი? — შეჰყვირა გაოცებულმა ივაშკამ. — თუ გგონია რომ ამ ქვას ხელით დაამტვრევ?

— არა, ივაშკა, — მიუგო ბერიკაცმა, — ხელით ვერ გავტეხ და არც ვაპირებ დავამტვრიო, იმიტომ, რომ მე ბედნიერ ცხოვრებას თავიდან შევუდგე.

ბერიკაცი მიუახლოვდა გაოცებულ ივაშკას, თავზე ხელი გადაუსვა. ივაშკამ იგრძნო, როგორ უკანკალებდა მძიმე ხელის გული ბერიკაცს.

— შენ, რასაკვირველია, ფიქრობდი, რომ მე მოხუცი, კოჭლი, ბეჩავი და უბედური ვარ. — უთხრა მოხუცმა ივაშკას, — ნამდვილად კი მთელ ქვეყანაზე უბედნიერესი ადამიანი ვარ.

ფეხზე ძელი მაშინ დამეცა და მოვტეხა, ჯერ კიდევ გამოუცდელები ლობეებს რომ ვამტვრევდით და ბარიკადებს ვაგებდით, როდესაც მეფის წინააღმდეგ ავჯანყდით.

კბილები ჩამიმტვრიეს, როდესაც ციხეში დაპატიმრებულნი რევოლუციურ სიმღერებს ერთხმად ვმღეროდით.

ომში ხმლით დამიჩეხეს სახე, როდესაც პირველი სახალხო პოლკები უკვე ანადგურებდნენ და მუსრს ავლებდნენ თეთრების არმიას.

ჩალაზე, ცივ ფარდულში სახადით ავადმყოფი ბოდვაში ვაწყდებოდი აქეთ-იქით და სიკვდილზე უფრო მრისხანედ მეჩვენებოდნენ სიტყვები, რომ ჩვენი ქვეყანა ალყაშემორტყმულია და მტერი გვძალავს.

მაგრამ რომ გამოვერკვიე, მზის პირველ სხივთან ერთად გამოვიხედე და გავიგე რომ მტერი კვლავ განადგურებულია და ჩვენ შეტევაზე გადავდივართ!

ჯმით გახარებულები, გაძვალტყავებულ ხელს ვართმევდით ერთმანეთს და გაუბედავად ვოცნებობდით, იმაზე, რომ ჩვენს დროს თუ ვერა, ჩვენს შემდეგ მაინც იქნებოდა საშობლო ისეთი, აი, როგორიც ახლაა, — ძლიერი და დიადი. განა ეს ბედნიერება არ არის, სულელო ივაშკა? და რაღად მინდა ახლა სხვაგვარი სიცოცხლე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვაგვარი ახალგაზრდობა?! როცა ჩემი სიჭაბუკე სიძნელეში გავატარე, მაგრამ პირნათლად და პატიოსნად.

ბერიკაცი გაჩუმდა და ყალიონი გააბოლა.

— დიახ, ბაბუ! — წყნარად უთხრა ივაშკამ, — მაგრამ, თუ ასეა, მაშ რისთვის ვეცადე და ეს ქკა მთაზე ამოვიტანე? ხომ შეიძლებოდა თავისთვის გდებულიყო ჭაობში?

— დაე, ყველას დასანახად ჩანდეს, — უთხრა მოხუცმა, — და ნახავ, ივაშკა, რაც მოხდება.

7.

ამის შემდეგ, მრავალმა წელმა გაიარა, მაგრამ ის ქვა ისევ გაუტეხავი დევს მთაზე.

მრავალი ხალხი ყოფილა მის ახლოს. მივლენ, შეხედავენ, ჩაფიქრდებიან, თავს გაიქნევენ და მიდიან თაკისთვის.

იმ მთაზე ერთხელ მეც ვიყავი, როგორლაც ცუდ გუნებაზე გახლდი. „ნეტავ რა იქნება," — გავიფიქრე, — „მოდი და ქვას დავარტყამ რასმე, ხელახლა დავიწყებ ცხოვრებას!"

მაინც ვიდექი, ვიდექი და დროზე მოვიაზრე.

„ეჰ!" — იტყვიან მეზობლები! — გაახალგაზრდავებულს რომ დამინახავენ, — „აი, მოდის სულელი ყმაწვილი! ეტყობა მან ვერ შესძლო ერთი ცხოვრების მოთავება ისე, როგორც საჭიროა, ვერ დაინახა, თავისი ბედნიერება და ახლა იგივე უნდა დაიწყოს თავიდან".

მაშინ მე შევახვიე თუთუნი, მხურვალე ლოდზე მოვუკიდე, რომ ასანთი არ დამხარჯოდა და ჩემს გზას გავუდექი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

უკვე გახდა პიონერი

ცხრა წლის გახდა ტარიელი,
უკვე შვენის დინჯად გავლა,
ხალისიანს, შავთვალწარბას
უყვარს შრომა, უყვარს სწავლა.

თავის დროზე ბურთს თამაშობს,
სან პატარა გემებს აგებს,—
სიყვარულით ეხმარება
ჩამორჩენილ ამხანაგებს.

სკოლაში თუ სკოლის გარეთ
მუდამ ისმის მისი ქება...
დიდ ოქტომბერს წელს ახალი
წარმატებით შეეგება.

პიონერის ყელსახვევზე
პატარებში ვინ არ მღერის!
...ჰოდა, აი, ტარიელი
უკვე გახდა პიონერი.

სიტყვა მისცა ამხანაგებს,
ვით გულწრფელი დაპირება:
რომ სამშობლოს დასაცავად
ის ყოველთვის მზად იქნება;

რომ შემატებს მტკიცე აგურს
კომუნიზმის მაღალ კედელს...
ამ სიტყვებზე მას წითელი
ყელსახვევი გაუკეთეს.

გაახარეს, და ღიმილით
გაეფურჩქნა პირზე ვარდი...
ახლაც, აი, მის სახეზე
იმ ხალისის ღიმი დადის;

იმ ხალისის ღიმით წვება,
თვალს იმ ტკბილი ღიმით ახელს,—
სადაც დადის, თან ატარებს
პიონერის მკირფას სახელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი

(1828—1910)

წელს, ნოემბერში, შესრულდა 40 წელი დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის გარდაცვალებიდან.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ აფასებს და ამაყობს ლევ ტოლსტოის შესანიშნავი ნაწარმოებებით.

იმ დიდი რომანების გარდა, რომლითაც მწერალმა მთელ ქვეყანაზე მოიხვეჭა სახელი, იგი სწერდა აგრეთვე საბავშვო მოთხრობებსა და ზღაპრებს.

ამ ნომერში ვათავსებთ ლევ ტოლსტოის ორ საბავშვო მოთხრობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევ ტოლსტოი

ნახატები **გრ. ჩირინაშვილისა**

ორი მოთხრობა

კურკა

დედამ ქლიავი იყიდა. უნდოდა ნასადილევს ბავშვებისათვის დაერიგებინა და თეფშზე დააწყო. ვანოს ქლიავი არასოდეს ეჭამა. ის უტრიალებდა მათ და ყნოსავდა, თუ როგორი სუნი ჰქონდა. ვანოს თვალში მოუვიდა ქლიავი და მისი შეჭმა ძლიერ მოუნდა. როდესაც ოთახში არავინ იყო, ვანოს სულმა წასძლია, აიღო ერთი ქლიავი და შეჭამა. სადილობამდე დედამ დათვალა და ნახა, რომ ერთი ქლიავი აკლდა. მან ამის შესახებ მამას უთხრა.

სადილობისას მამამ თქვა: „რაო, ბავშვებო, ხომ არავის შეგიჭამიათ ერთი ქლიავი?“.

ყველამ უპასუხა: არაო. ვანო ჭარხალივით გაწითლდა და იმანაც თქვა: — არა, მე არ შემიჭამია.

მაშინ მამამ თქვა: „ვიღაც თქვენგანმა თუ შეჭამა, ეს ცუდია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ქლიავს აქვს კურკა და ვინც მისი ჭამა არ იცის და კურკას ჩააყოლებს, მეორე დღეს მოკვდება. აი, რისი მეშინია!“

ვანია გაფითრდა და თქვა: „არა, კურკა ფანჯარაში გადავისროლე!“

ყველას გაეცინა, ვანო კი ატირდა.

გოგონა და სოკოები

ორმა გოგონამ სოკო დაკრიფა და შინ ბრუნდებოდა.

მათ რკინიგზა უნდა გადაეარათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მატარებელი შორს იყო, ნაყარ მიწაზე აცოცდნენ და ლიანდაგზე გადადიოდნენ.

უეცრად მატარებელი აგუგუნდა. უფროსი გოგონა უკან გაიქცა, პატარამ კი გზა გადაირბინა.

უფროსმა გოგონამ დას დაუძახა: „უკან არ წამოხვიდეო!“

მაგრამ მატარებელი ისე ახლოს იყო და ისე ხმამაღლა გუგუნებდა, რომ უმცროსმა ვერ გაიგონა; მან იფიქრა, რომ ეძახდნენ „უკან დაბრუნდიო“. ის უკან გამოიქცა. ლიანდაგს ფეხი წამოჰკრა, სოკო დააბნია და მის მოგროვებას შეუდგა.

მატარებელი უკვე ახლოს იყო და მემანქანე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორთქლმავალს აყვირებდა.

უფროსი გოგონა უყვიროდა: „სოკოს თავი დაანებეო“, უმცროსს კი ეგონა, რომ სოკოების აკრეფას ავალებდნენ და რკინიგზაზე დაფორთხავდა.

მემანქანემ ვერ შეძლო მატარებლის შეჩერება. ორთქლმავალი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა და ბოლოს ბავშვს გადაუარა.

უფროსი გოგონა ყვიროდა და ტიროდა. მგზავრები ფანჯრებიდან იცქირებოდნენ, კონდუქტორი კი მატარებლის ბოლოში გაიქცა, რომ დაენახა, თუ რა მოუვიდა ბავშვს.

როდესაც მატარებელმა გაიარა, ყველამ დაინახა, რომ გოგონა ლიანდაგებს შორის პირქვე იწვა და არ ინძრეოდა.

შემდეგ, როდესაც მატარებელი უკვე შორს იყო, გოგონამ თავი ასწია, ფეხზე წამოხტა, სოკო აკრიფა და დისაკენ გაიქცა.

თარგმანი **პაპუნა წერეთლისა**

ნინო ნაკაშიძე

ნახატი გ. როინიშვილისა

დევიკო და ბურთი

1. როგორ გაექცა დევიკოს ბურთი

გინდათ გაიგოთ, როგორ გაექცა დევიკოს ბურთი? აბა, ყური დამიგდეთ!

დევიკო სულ პატარა ბიჭია, როდესაც ჰკითხავთ, რამდენი წლის ხარო, გაშლის მარცხენა ხელს და მარჯვენათი დაითვლის:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...—და გაჩუმდება.

ხომ გაიგეთ, რომ დევიკო ოთხი წლისა ყოფილა და ოთხი წლის ბიჭი ხომ უნდა დადიოდეს საბავშვო ბაღში?

დევიკოც დადის.

დილით გაიღვიძებს თუ არა, დედა ჩააცმევს ტანზე, ფეხზე, აკოცებს ლოყაზე, და ეუბნება:

— აბა, დევიკო, დალიე რძე და გაიქეცი საბავშვო ბაღში.

— დღეს ჩემს დიდ ბურთს წავიღებ საბავშვო ბაღში, ნელიკოს და თენგიზს ვაჩვენებ. მერე მოვიტან, ჰოო, დედიკო? მე ისე მიყვარს ჩემი ბურთი!

— კარგი, წაიღე,—უთხრა დედამ,—ახლა კი წადი, დღეს გია წაგყვება.

— არ მინდა გიას წაყოლა, შენ წამყევი, ან მამიკო...

— რატომ არ გინდა წაგიყვანო, გაწყენინე რამე?—ჰკითხა დევიკოს უფროსმა ძმამ გიამ.

— არ მინდა, არა.. აჰა შენ!—და დევიკომ შეაფურთხა გიას.

ოჰ, როგორ ეწყინა გიას, დედას, მამას, ბებუას, ბებიას და ყველას, ყველას...

— ააჰ, აჰ!—გაისმა ყველას შეწუხებული ხმა.

— დევიკომ შეაფურთხა?

— ვაი, ვაი, განა ამისთანა ცუდი საქმე ჰქნა დევიკომ?

— ძალიან მეწყინა, დევიკო,—უთხრა მამამ, აბა, როგორ შეიძლება შეფურთხება? აღარ მინდა დაგელაპარაკო.

დევიკოს შერცხვა, შეწუხდა, ისე შეწუხდა, რომ ბურთი გაუვარდა ხელიდან და მამასთან მიირბინა.

— მამიკო, მეტს აღარ ვიზამ... აღარ...

— ჰო, თუ აღარ იზამ, შეგირიგდები, — უთხრა მამამ, — ახლა კი წადი საბავშვო ბაღში, გია წაგყვება!

მაგრამ ბურთი? ბურთი სადღაა?

— ბურთს ეწყინა და გაიქცა, — თქვა დედამ, — თუ კარგი ბიჭი იქნება დევიკო, შეიძლება მერე მოვიდეო. გადატრიალდა, გადატრიალდა, და გაგორდა!

ოჰ, როგორ ეწყინა დევიკოს. ატირდა კიდეც. მაგრამ ოთხი წლის ბიჭმა დიდხანს ხომ არ უნდა იტიროს და დილით ხომ უნდა წავიდეს საბავშვო ბაღში. დევიკოც წავიდა.

— ნუ გეშინია, დევიკო, თუ დღეიდან აღარავის შეაფურთხებ და კარგი ბიჭი იქნები, ბურთი დაბრუნდება. ახლა კი დაწყნარდი, ბურთს დაუცადე ხომ დაიცდი?

— დავიცდი და აღარავის ვაწყენინებ! — თქვა დევიკომ.

II. საბავშვო ბაღის გამგზავრება მანგლისში

თბილისში ძალიან დაცხა. მასწავლებელმა დეიდა ელისომ უთხრა დევიკოს დედას:

— საბავშვო ბაღის ბავშვები მანგლისში მიგვყავს საზაფხულოდ და დევიკოსაც წავიყვანთ; ხომ წამოხვალ დევიკო? — ჰკითხა მან დევიკოს, — მანგლისში სიგრილეა, ტყეებია... ავტომობილში ჩაგსვამთ და გაგაქროლებთ! ხვალ ყველა წავალთ.

— უჰ, რა კარგია, ავტომობილით წავალთ, — შესძახა დევიკომ, — ნოდარიც წამოვა, დეიდა ელისოც, თენგიზიც!..

დილით, საბავშვო ბაღის ეზოში დიდი ავტომობილი შემოგრიალდა. უჰ, როგორ გაეხარდათ ბავშვებს, ისე გაეხარდათ, რომ ტაში შემოკრეს და ცეკვაც კი დაიწყეს...

— აბა, ბავშვებო, ჩასხედით, — დაიძახა ძია შოფერმა. ყველა დაფაცურდა.

პირველად დევიკომ მიირბინა. დედამ აიყვანა ხელში და მიაწოდა დეიდა ნინოს, რომელიც ავტომობილზე იდგა. ნინომ დევიკო გრძელ სკამზე დასვა. მეორედ აიყვანეს ნანიკო, შემდეგ ნოდარი, და სხვებიც, ყველა, ყველა; გაივსო ავტომობილი!

— ყველა ჩასხდა? — იკითხა შოფერმა.

— ყველა!

— მაშ გავუდგეთ გზას, — თქვა შოფერმა და დააყვირა ავტომობილი.

— პიიპ, პიიპ, — დაიყვირეს ბავშვებმაც.

ავტომობილი დაიძრა. ყველას უნდოდა სიმღერა, ყვირილი, მაგრამ ელისო მასწავლებელმა უთხრა:

— ჩუმად, ბავშვებო, წყნარად ისხედით, — არ გადავარდეთ!

ბავშვები დაჩუმდნენ.

უჰ, რა სასიამოვნო გზა იყო: მზე ანათებდა, ნიავი ქროდა. ირგვლივ გადაშლილი იყო ყვავილებით მოჭარგული მინდვრები, მინდვრების იქით და აქეთ მწვანეზე შეფენილიყო მთებისაკენ მიმავალი ცხვრის ფარები. იმათ დანახვაზე ბავშვები ყვიროდნენ:

— უჰ რამდენი ცხვრებია! დეიდა ელისო, რა პატარა და კარგი ბეკეკებია, ბეე-მეე-ბეე... — ბატკნებიც თითქოს უპასუხებდნენ ბავშვებს, ყვიროდნენ: „ბეე-მეე-ბეე“...

— ბალღები მიჰყავთ მანგლისში საზაფხულოდ! — დაიძახა ჩოხიანმა და დიდქუდიანმა მწყემსმა, და გაიშვირა დიდი კომბალი ბავშვებისაკენ.

— ჰამ, ჰამ, ჰამ, — უყეფდნენ ავტომობილს მეცხვარის ძაღლები.

* * *

— მოვედით მანგლისში, — დაიძახა ძია შოფერმა.

რამდენი ხეები იყო მანგლისში! რა დიდ სახლში იყო მოთავსებული მათი საბავშვო ბაღი! დიდ, ლამაზ სვეტებიან ფარდულში უკვე გაშლილი დაუხვდათ სუფრა.

უკვე დაბნელდა, მაგრამ ყველგან აინთო ელექტრონათურები. ბავშვებმა ივახშმეს, ხელპირი დაიბანეს, დაწვნენ და დაიძინეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალხური ლექსები შემოდგომაზე

* *

შემოდგომაა გულუხვი,
რა საამური დარია,
სიმინდიც ბევრი მოვიდა,
ეველას უდგია მარია,
ქვევრები ღვინით გაივსო,
სტუმრისთვის ღია კარია!

* *

ვენახი კარგად მოვრთეთ
წმინდათ დათლილი სარითა,
თოხნითაც კარგად ვავთოხნე,
წმინდათ დავბარე ბარითა,
დაისხა მსხვილი მტევნები—
ვეღარ დავძარი მხარითა.

* *

მოდი, ეურძენი მიირთვი—
თითა და ბუდეშურები.
მაგისთვის არა მცალია,
სკოლისკენ მიეეშურები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ ელანიძე

ნახატი **ალ. ვეფხვაძისა**

ოქროს თვალები

თებერვლის მიწურული იყო, შირვანის ველი მწვანით იმოსებოდა. ჰაერს გაზაფხულის სუნი დაჰკრავდა.

მზის ამოსვლისას, თუშების საზამთრო ბინიდან ცხვრის ფარა თეთრი ღრუბლის ქულასავით გამოეფინა: ბინას გასცდა თუ არა, გაიშალა და ვეებერთელა მინდორი თოვლივით გადაათეთრა.

პატარა პართენმა, ფარის ნაპირზე ენძელები შეამჩნია,—მიწიდან ახლა ამომძვრალიყვნენ, ბავშვმა ყვავილებს ხელი შეახო და მიუალერსა; უფროსმა მწყემსმა უთხრა: ეგ ენძელები ჩვენი ბატკნების მახარობლები არიან. ორი კვირის შემდეგ ამ ფარაში რამდენიც დედა ცხვარია, იმათზე უფრო მეტი ბატკანი გაჩნდება, ისინიც ამ ენძელებივით თეთრად მოეფინებიან მწვანე ველებს და გაგვახარებენ; იმ ფარას, შენ ჩაგაბარებთ და თვალის ჩინივით მოუარეო.

პართენსაც ეს უნდოდა, მოუთმენლად ელოდა იმ დღეს. როდესაც ფარაში პირველი ბატკანი გაჩნდებოდა და მათ გამოზრდაში მონაწილეობას მიიღებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, პართენმა ყური მოჰკრა: მწყემსები ვილაც „მცნობზე“ ლაპარაკობდნენ და თანაც შიშობდნენ: ვაი, თუ დაიგვიანოს და უიმისოდ დოლი * წაგვიხდება, ცხვარ-ბატკანი დაგველუპებაო.

პართენმა ველარ მოითმინა და უფროს მწყემსს ჰკითხა: ძია შიო, ვინ არის ის მცნობი, ასე მოუთმენლად რომ ელოდებითო.

— მცნობი იგივე მწყემსია — მიუგო ძია შიომ, — ოღონდ მას ისეთი თვალი და მეხსიერება აქვს, რომ ჩვენი რვაასი ცხვარი

* დოლი—ბატკნების მოგების გარკვეული დრო ფარაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატკნებს რომ მოიგებს, ის სათითაოდ დაიხსომებს, რომელი რომლის დედა, ან შვილია.

ბატკნები პირველხანებში ცალკე სადგომში გვეყოლება. როცა დედები საძოვრიდან რძით სავსე ჯიქნებით დაბრუნდებიან, დედა-შვილს ამდენ ფარაში ერთი მეორის პოვნა გაუჭირდება, მცნობი კი ყველასა სცნობს და ეხმარება პოვნაში!

ახლა პატარა მწყემსიც მოუთმენლად ელოდა მცნობის მოსვლას.

გავიდა ორი კვირა, ფარაში გაჩნდა პირველი ბატკანი. მართლაც ენძელასავით თეთრი იყო. პართენმა მახარობელი ენძელა დაარქვა, კალთაში გამოიხვია და თან დაჰყავდა.

საღამოს, ბინაში რომ დაბრუნდნენ, მცნობიც იქ დახვდათ. გახარებული მწყემსები სტუმარს ხუმრობით ეუბნებოდნენ: შენ და მახარობელ ბატკანს პირობა ხომ არ გქონდათ რომ ერთ დღეს მოხვედითო.

პართენმა მცნობი რომ ნახა, გაკვირვებით შეჰყურებდა, ნეტავ ამდენ ცხვარბატკანში როგორ უნდა გაარჩიოს, რომელი რომლის შვილიაო!

მცნობი მეორე დღიდანვე იმ ფარას გაჰყვა, სადაც პართენი იყო.

მახარობელ ბატკანს მოჰყვა მეორე, მესამე! ყველანი ერთი მეორეზე უკეთესები იყვნენ. პატარა მწყემსი მცნობს თვალს არ აშორებდა, მის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, უნდოდა გაეგო, თუ როგორ იხსომებდა იმდენ ცხვარ-ბატკანს, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

გადიოდნენ დღეები, ფარას ემატებოდა. ხან აქ დაიბღავლებდა ახალდაბადებული ბატკანი და ხან იქ; პატარა მწყემსი თავდავიწყებით შრომობდა, ბატკნებს დასტრიალებდა. ზოგი კალთაში ჰყავდა გამოხვეული, ზოგი იღლიაში ეჭირა და ზოგიც მხარზე ეჯდა...

მწყემსები ყოველდღე დატვირთულები ბრუნდებოდნენ ბინაში. ბატკნების სადგომი თანდათან ივსებოდა.

მახარობელი ბატკნის დაბადებიდან ორი კვირის შემდეგ დოლი ჩამოთავდა, მცნობი ფარას აღარ გაჰყვა, შეუძლოდ იყო და ბინაში დარჩა. საღამოს, მწყემსები ბინაში რომ დაბრუნდნენ, საწყენი ამბავი დახვდათ—მცნობი ავად გამხდარიყო, მწყემსები დაღონდნენ ამდენი ცხვარ-ბატკანი დაგვეღუპებაო.

მეორე დღეს, როდესაც ცხვრის ფარა ბღავილით მოზვავდა ბინასთან და ბატკნები შეურიეს, ისეთი ჟრიამული ატყდა, რომ ვერაფერს გაიგონებდით, ბატკნები გამწარებით ეძებდნენ დედებს. მწყემსები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ბევრს ვერაფერსა შველოდნენ.

პართენმა ეს რომ დაინახა, შევარდა ბაკში და სცადა ბატკნებისთვის დედების მოძებნა. ადვილად უპოვა ერთს, მეორეს, მესამეს. თანდათან გათამამდა, ელვის სისწრაფით ზედიზედ იჭერდა ბატკნებს და მიჰყავდა დედებთან.

მწყემსები განცვიფრებით შეჰყურებდნენ პატარა მცნობს და კმაყოფილებით იღიმებოდნენ.

პართენმა ნახევარ საათში შეაჩერა ათასშვიდასი ცხვარ-ბატკნის ბღავილი. სამუშაო რომ დაამთავრა, მწყემსებმა ხელში აიტაცეს ბიჭი და ბინამდე ისე მიიყვანეს ყიჟინით.

საღამოთი, როცა ავადმყოფმა მოიხედა, მწყემსებმა პატარა მცნობი წინ დაუყენეს და მომხდარი ამბავი გადასცეს.

მოხუცი მცნობი სიხარულით აინთო, წამოიწია, პართენს შუბლზე აკოცა და უთხრა: ოქროს თვალები გამოგყოლია შვილო, შენს ხელში ცხვარი ბალახივით გამრავლდებაო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინას კაბა

შეუკერეს თინას კაბა.
კოხტად ტანს აედგება,
არც გრძელია და არც მოკლე,
მუხლებამდე სწვდება!

კაბა არის იისფერი,
წითლად მოწინწკლული,
როგორ შვენის ნაოჭები,
ირგვლივ ქობა უვლის;
კოპწიაობს გოგო თინა,
ტკბილად უძგერს გული.

შეუკერეს გოგოს კაბა
და შინ როგორ დაჯდეს?!
მოსწონს თინას სამაჯე და
მაღლა იშვერს მაჯებს.

დაურბინა ბებოს, ბაბუს,
მამიდას და ბიძას;

ცუგოს ჰკითხა: „რას მიყურებ?
განა ველარ მიცან?!“

კაბა ყველამ მოუწონა,
გახარისდა ქალი,
მიმორბის და ახალ კაბას
უფრიალებს ქარი!

ილია სიხარულიძე

თემო და ფისო

ხელში ჰქონდა
თემოს ძაფი,
ფისომ ძაფს ჰკრა
თათი სწრაფი.

ეუბნება
ფისოს თემო:
—რა ცელქი ხარ,
ფისო ჩემო!

თემომ იცის
წერა-კითხვა,—
ზის და ფისოს
წიგნს უკითხავს.

წიგნმა
თემო გაიტაცა.
ფისომ
წიგნი გაიტაცა.

დაეკარგა
ფისოს ძალა,
იგი
უკვე დაილალა.

ხალიჩაზე
დაჯდა ფისო.
ფიქრობს:
—გავისვენებ პირსო.

ადგა
ჩვენი ფისუნია,
იგრძნო:
—სადღაც
რძის სუნია!

ვასილ ლაფერაშვილი

ყველას გემატიქებით

ჩვენი ეზო ავსილა
ყურძნით სავსე გოდრებით,
კაკლით, კომშით, ჩირებით,
ვაშლებით და გოგრებით.

დღეს სიმინდის რჩევა გვაქვს,
მოვდენ გოგო-ბიჭები,

ნახეთ ჩვენი ბარაქა,—
ყველას გემატიქებით!

ქ. გოგიაშვილი
ნახატები ი. სუხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლავდია დევდარიანი

ყურცქვიტა და ყიყინა

— ამოდი ყიყინა, არავინ არის! — გადასძახოდა გუბის პირზე ფრთხილად გადახრილი ყურცქვიტა მწვანე ბაყაყს, რომელსაც წყლიდან თავი ამოეყო და დაჭყეტილი თვალებით იქაურობას ათვალიერებდა.

— კარგად დაათვალიერე, მეგობარო, ბუჩქებში ანკარა არ იყოს გაწოლილი!

— არა, ჩემო კარგო, ამოხტი!

ყიყინა ერთი ნახტომით გაჩნდა ყურცქვიტას გვერდით.

— სად იყავი, ყურცქვიტა, ამდენხანს?

— წვიმამ შემაშინა, გამოიდარა თუ არა, ნაშინვე გამოვეშურე!

— ჩვენც დაგვაფრთხო წვიმამ, კვერცხები სულ გუბის ფსკერზე წაიღო, ალბათ დააგვიანდებათ თევკომბალებს გამოჩეკა! —ნაღვლიანად უპასუხა ყიყინამ.

— სამაგიეროდ რა გემრიელია სველი ბალახი!

პატარა ბაჭია და მწვანე ბაყაყი ერთად მიხტოდნენ ნაწვიმარზე და ასე ძეგობრულად საუბრობდნენ.

ისინი დიდი ხანი არ არის რაც დაძეგობრდნენ:

ერთხელ, ბაჭია ბოსტანში შეიპარა და პირველი ვინც წინ შემოეყარა, ბაყაყი იყო. ბაყაყმა ბაჭიას დანახვაზე საშინელი ხმით შეჰყვირა, ისკუპა და გუბეში ტყაპანი მოადინა. ბაჭიას შიშით გული გაუსკდა, უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ შეფიქრიანდა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა გუბის ნაპირს, კისერი წაიგრძელა და შიგ ჩაიხედა: — აქ გადახტა, ალბათ დაიხრჩო კიდეც საწყალი, ნუ თუ შევაშინე? — უეცრად წყლიდან ამოყოფილი ერთი წყვილი თვალი დაინახა და საშინელი ხმით ყიყინი კიდევ რომ მოესმა, მოჰკურცხლა, მაგრამ, როგორ! სულ კუდით ქვას ისროდა; შინ ისე მივიდა, სული არ მოუთქვამს.

— დედიკო, იმოდენა თვალები ჰქონდა, ისე იყო გაბღენძილი, ისეთი საშინელი ხმა ჰქონდა! —უამბო დედას ყურცქვიტამ.

— ხა, ხა, ხა! —ასტეხეს ბაჭიებმა ხარხარი: —ბაყაყი ყოფილა, იმ ყიყინამ როგორ შეგაშინა?

მეორე დღეს, ყურცქვიტა ბოსტანში შეიპარა და გუბისაკენ რომ ისკუპა, დახეთ საკვირველებას! პატარა ბაყაყმაც სწორედ ამ დროს ისკუპა გუბიდან და ყურცქვიტას გულზე დაეტაკა. ყურცქვიტა შეხტა, გაქცევა დააპირა, მაგრამ გაახსენდა ბაჭიების დაცინვა და ბაყაყს გულმაგრად მიაძახა:

— გამარჯობათ, მეგობარო, სად მიიჩქარით?! — ყიყინაც შედგა, თვალები უფრო მეტად დაჭყიტა და ყურცქვიტას ზრდილობიანად მიმართა:

— სანადიროთ გამოვედი, მეზობელო,

ბუზანკალის დასაჭერად, ვისკუპე თქვენ კი შეგეჩეხეთ, მაპატიეთ, გეთაყვა!

აი, ამ დღიდან დამეგობრდნენ ყურცქვიტა და ყიყინა.

აი, ახლაც ერთად სეირნობენ და საუბრობენ:

— რა მშვენიერი კომბოსტოა, ყიყინა, თქვენც ხომ მიირთმევთ?!

— არა, ჩემო ყურცქვიტა, აგერ გაფრენილ კოღოს ვუთვალთვალებ. — ყიყინამ ისკუპა, უშველებელი ენა გადმოაგდო და კოღო პირისაკენ გააქანა.

— რამოდენა ენა გქონია, შემაშინე კიდეც!

— ყი, ყი! — მხიარულად დაიყიყინა ყიყინამ, — ამ ენით ვიჭერ გაფრენილ მწერებს; ენის ძირი წინა მაქვს დამაგრებული; როგორც კი გაფრენილ მწერს დავინახავ, ენას გადმოვაგდებ და ბოსტნის მტერს მუცელში გადავუძახებ!

ყიყინას სიტყვა არ გაეთავებინა, რომ უეცრად საშინელი ყეფა შემოესმათ: ბოსტნის დარაჯის, ძია პეტრეს ფინია ისე მოჰპაროდათ, რომ ვერც კი შენიშნეს და ის იყო, ფინია ყურცქვიტას კინალამ კანჭში მისწვდა, რომ ყიყინამ ერთი ისკუპა და ზედ ფინიას ცხვირწინ მოადინა ტყაპანი. დამფრთხალმა ყურცქვიტამ კი საკურდღლისაკენ მოჰკურცხლა.

— ბოსტანში ბრძანდებოდი, შე წუწკო? — დაუტატანა ყურცქვიტას მართამ, რომელსაც კომბოსტოს ნაფცქვენები მოეტანა კურღლისათვის. მაგრამ ყურცქვიტას თავის დარდი აწუხებდა: ვაი, თუ ფინიამ ყიყინა შეჭამოს!.. გამოვიქეცი, მეგობარი კი გასაჭირში დავტოვეო. ფრთხილად იქით გასწია, საიდანაც ფინიას თავგამოდებული ყეფა ისმოდა და რა საშინელება დაინახა: ფინია მხტუნავ ყიყინას გარს უვლიდა; თათს ხან აქედან დაჰკრავდა, ხან იქიდან... ყურცქვიტა უყურებდა ამ საშინელებას და არ იცოდა, როგორ ეშველა... უეცრად ფინიამ ვეებერთელა პირი დააღო და ყიყინას ეცა.

— ვაიმე, ჩაყლაპა, უსათუოდ ჩაყლაპა! — დაიკვნესა ყურცქვიტამ და თვალები დახუჭა.

— არაფერია, ყურცქვიტა, არ შეგეშინდეს, აქა ვარ! — მოესმა ყურცქვიტას ყიყინას ხმა.

— ჩემო ყიყინავ, მეგობარო, როგორა ხარ? მე გადამარჩინე და შენ კი განსაცდელში დაგტოვე! გული გამისკდა, იმოდენა პირი დააღო ფინიამ; მეგონა ჩაგყლაპავდა!

— კარგად, ჩემო კარგო. ხა, ხა, აბა, ერთი ფინიას შეხედე, რა დღე დავაყენე! —

ფინია წკმუტუნებდა, თავპირს თითებით იკაწრავდა და მიწაზე გორავდა, განა მაგას ჩემი ჩაყლაპვა შეუძლია? — კანი ისეთი ლორწოთი მაქვს დაფარული, — პირი სულ გამოვუთუთქე; მეორედ აღარ მახლებს თათს.

გამარჯვებული მეგობრები იცინოდნენ და ხელიხელ ჩაკიდებული ხტოდნენ.

ნახატები **ი. გაბაშვილისა**

ГОСПУБЛИЧ. Б-КА
Г. Н-М.
ეროვნული ბიბლიოთეკა
1 61/56

ვინ როგორ ემზადება ზამთრისათვის

მინდვრის თაგვის საკუჭნაო

სავსეა დედამიწა თოვლით დაიფარება; ტყის ყოველი ბინადარი თავისებურად ემზადება ზამთრისათვის. სად წაუვა თოვლსა და ყინვას? სად იშოვნის საჭმელს, თუ წინასწარ არ მოიმზადა?!

განსაკუთრებული გულმოდგინებით იმარაგებენ ზამთრის სარჩოს მინდვრის თაგვები. მათ თავიანთი სორო ყანებში, პირდაპირ ძნებქვეშ მოიწყეს და განუწყვეტლივ იპარავდნენ ხორბალს.

სოროსაკენ მიმავალი ხუთი-ექვსი ხვრელი აქვთ თაგვებს. მიწისქვეშა სორო საძილე განყოფილებისა და რამდენიმე საკუჭნაოსაგან შედგება. მხოლოდ დიდ ყინვებში იძინებენ თაგვები, დანარჩენ დროს კი განუწყვეტლივ შეექცევიან ხორბალს. ამიტომ წინასწარ დიდ მარაგს იკეთებენ; ზოგიერთ სოროში უკვე ოთხი-ხუთი კილოგრამი დარჩეული ხორბალია მოგროვილი.

მინდვრის თაგუნები საკოლმეურნეო ყანებსა ჰქურდავენ: მათგან მოსავლის დაცვაა საჭირო.

ციყვის ჩირი

ციყვს რამდენიმე სორო აქვს ფუღუროიან ხეებზე. ერთ მათგანში საკუჭნაო მოიწყო და გარეული თხილითა და ნაძვის გირჩებით აავსო.

გარდა ამისა, ციყვმა არყა-სოკოები მოაგროვა, ფიჭვის გაფარჩხულ ტოტზე ააგო და ახმობს ჩირივით. გამობრძანდება ზამთარში მშიერი ციყვი და სოკოს ჩირს შეექცევა.

უსაკუჭნაოდ

ტყის ბევრი ბინადარი არავითარ საკუჭნაოს არ იკეთებს. ისინი თვითონ არიან თავიანთი თავის საკუჭნაოები.

ეს ასე ხდება: კარგად იკვებებიან მთელი შემოდგომის მანძილზე, გასუქდებიან და ქონი ხომ იგივე საკვების მარაგია. მათ კანქვეშ სქელ ფენად დაედებათ ქონი და როცა მხეცს საჭმელი შემოაკლდება, ქონი გადადის სისხლში, ისევე, როგორც საზრდო გადადის ნაწლავების კედლებიდან სისხლში. სისხლი კი საკვებს მთელ ორგანიზმში ანაწილებს.

ასე სძლებენ ზამთარში დათვები, მაჩვები, ღამურები და სხვა ცხოველები, რომელთაც მთელს ზამთარს სძინავთ; მათ ქონი ჰკვებავთ და ათბობთ კიდეც.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. სტურუას.

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ექ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 11, Ноябрь 1950 г. Тбилиси, Ленина 14. Изд. „Комунисти"
გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 8-37-38 გამომცემლობის შეკვ. №105 სტამბის შეკვ. № 1380 9538 ტირაჟი 7000 უე 16487 ფასი 5 მან. ტექსტი ანაწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში.